საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ოქმი № 092889

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

ქ. ახალციხე 12.06.2025 წ.
(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი)

სამცხე-ჯავახეთის ხელოვნური სამაგალითო გასუფთავების
(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი)
ინსპექტორის გიორგი ქუთათელაძის

ყვავილა სპეციალი-ინსპექტორი

სამართალდამრღვევი: მერი სოფლიანი ს/ნ 07001042382 დან.

(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ: ფიზიკური პირის სახელი, გვარი, [illegible]

მისამართი:
(ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – [illegible]

ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

გამოვავლინე, რომ ფ/პ მერი სოფლიანმა ფოთლ სასა-
(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)
ზღვრო ნაგებობის მშენებლობა №1571 ოქმით
აღმოჩენილ ვიოლატორს სამშენებლო ვიოლაციის ნაწილ მოსპობის.
ფოთლ 22 მაისს განვიხილეთ ოქმით ოქმებზე
სამი მოქალაქის და მათი მიმართვა ფოთლიანთ
დაკავშირებულ-ჭალნარი და ყოველი ხომ ოქმებზეც
ტყეკვეთა, აქვს ნაგები სამშენებლო და ფაქტი ოქმებით
ფიზიკურად 5 ფოთლ სოფლის, მოსაზრებ განხილვა-
ნი აქვს 8 ფოთ სოფლის. ამასთან ერთად
წარმოებულია ინფორმაცია, ხომ, ამის სოფლიან ოქმებიან
სადაო მოსაზრებლ 108 მ² ფართზე და 3 ფოთლ
სოფლის ფარგლებში აქვს მოსაზრებული 324 მ³
ვიოლაციის ნაგებ და ამ ოქმებით გასუფთავებულ მოქა-
ლაქეთა ზარალი შეადგენს 1334 ლარს.

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლი

დარღვევა,

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

ნარჩენების მართვის კოდექსის

დარღვევა.

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

ვეთანხმები ოქმს

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

**მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან):**

(ხელმოწერა)

**ოქმის შემდგენელი:**

(ხელმოწერა)

**სამართალდამრღვევი**

(ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა)

**ოქმის ერთი პირი მივიღე:** 12.06.25

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

დამკვეთი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

# ახალქალაქის რაიონული სასამართლო

№4/65-25
«21» აგვისტო, 2025 წ.

2638

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსს

ბატონ ერეკლე ჭოხონელიძეს

მისამართი: ქ. ახალციხე, ბექა ჯაყელის ქ. N 16

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, გეგზავნებათ, კანონიერ ძალაში შესული, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს, 2025 წლის 08 ივლისის №4/65-25 დადგენილების ასლი, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანის“ მიმართ, №4/65-25 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე.

დანართი: დადგენილება „ 06“ ფურცლად.

*პატივისცემით,*

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს
მოსამართლის თანაშემწე

საქმე № 150510025011638190
№ 4/65-25

10843021549830
www.ecd.court.ge

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
## საქართველოს სახელით

### ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

08 ივლისი, 2025 წ. ქ. ახალქალაქი

ახალქალაქის რაიონული სასამართლო

მოსამართლე - სოსო სალთხუციშვილი
სხდომის მდივანი -

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანო:** სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველო
**წარმომადგენელი:**

**ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი:** ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიან" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 07001042382, რეგისტრაციის თარიღი: 08.10.2024, იურიდიული მისამართი:

**წარმომადგენელი** -

**თარჯიმანი** -

სასამართლომ ღია სხდომაზე განიხილა მასალები ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით (წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე)

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოდან შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები **ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანის“** მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თაობაზე.

წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანი“ ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1571 ლიცენზიას ოკმის ვულკანური საბადოდან ვულკანური წიდის მოპოვებაზე. 2025 წლის 22 მაისს დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ლიცენზიანტს დარღვეული აქვს სივრცული საზღვრები და ნაცვლად ლიცენზიით განსაზღვრული 5 მეტრის სიღრმისა, მოპოვება განხორციელებული აქვს 8 მეტრ სიღმეზე. ასევე, ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანს“ ლიცენზიის სამთო მინაკუთვნის 108 $მ^2$ ფართობზე და 3 მეტრის სიღრმეზე უკანონოდ აქვს მოპოვებული 324 $მ^3$ ვულკანური წიდა და აღნიშნული ქმედებით გარემოსათვის მიყენებული ზიანი შეადგენს 1334 ლარს.

2025 წლის 12 ივნისს ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის N092889 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო.

სასამართლო სხდომაზე (წარმომადგენელი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის შესაბამისად, განემარტა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები, ასევე - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლის შინაარსი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ ოქმს, ითხოვა ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანის“ სამართალდამრღვევად ცნობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით და მისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის შეფარდება.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენელი დაეთანხმა ოქმში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს და აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლი მოიცავს **წიაღით სარგებლობას სათანადო ლიცენზიის გარეშე,** რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარიდან 2500 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის (მყარი სასარგებლო წიაღისეულის) კონფისკაციით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონის დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ამავე კოდექსის მეორე ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

ამავე კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა

იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში კი, მოცემული საქმის კანონიერი გადაწყვეტა, ემყარება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ფაქტობრივი გარემოებების სწორ დადგენაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ ქმედებისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტების კვალიფიციურ დადგენას, საქმეში დაცული მტკიცებულებების სწორ შეფასებას.

წარმოდგენილი საქმის მასალების ანალიზისა და სასამართლო სხდომაზე მხრეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების შედეგად, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია **ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანის“** მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $57^1$ მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენა. კერძოდ, დადგინდა, რომ ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანი“ ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1571 ლიცენზიას ოკმის ვულკანური საბადოდან ვულკანური წიდის მოპოვებაზე. 2025 წლის 22 მაისს დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ლიცენზიანტს დარღვეული აქვს სივრცული საზღვრები და ნაცვლად ლიცენზიით განსაზღვრული 5 მეტრის სიღრმისა, მოპოვება განხორციელებული აქვს 8 მეტრ სიღმეზე. ასევე, ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანს“ ლიცენზიის სამთო მინაკუთვნის 108 $м^2$ ფართობზე და 3 მეტრის სიღრმეზე უკანონოდ აქვს მოპოვებული 324 $м^3$ ვულკანური წიდა, რითაც გარემოსათვის მიყენებული ზიანი შეადგენს 1334 ლარს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრულია, თუ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და

წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციულ ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების გათვალისწინებით, **ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანი“** ცნობილ უნდა იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. მასვე უნდა დაეკისროს გარემოსათვის მიყენებული ზიანის - 1334 ლარის ანაზღაურება.

ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანს“ არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები. მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს წარმომადგენლის მიერ სასამართლო სხდომაზე გაცხადებული გულწრფელი მონანიება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. აღნიშნული დებულების, აგრეთვე საქმის გარემოებებისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ **ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანის“** მიმართ მინიმალური - **2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით ჯარიმის შეფარდების** შემთხვევაში, დაცული იქნება როგორც თანასწორობის, კანონიერებისა და პროპორციულობის პრინციპი, ასევე მიიღწევა ის მიზანი, რაც ზოგადად გათვალისწინებულია სამართალდარღვევათა კოდექსით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე, 27-ე, 40, 57[1], 208-ე, 266-268-ე, 271-ე, 272-ე, 273-ე, 279-ე, 290-ე მუხლებით,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. **ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანი“** ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს **ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის** ოდენობით.

**2.** განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ დაკისრებული სახდელი (ჯარიმა) გადახდილ უნდა იქნეს დადგენილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. აღნიშნული ვადის დინება არ შეჩერდება დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში. თანხა უნდა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში, **სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი TRESGE22; ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302003541;** თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილ იქნეს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

**3. ინდ. მეწარმე „მარინე სოღოიანს“** სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს გარემოზე მიყენებული ზიანის - **1334 ლარის** გადახდა. თანხა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში დადგენილების გამოტანიდან 15 დღეში, ხაზინის ერთიანი ანგარიში; მიმღები ბანკი: **სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22; ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302003581;** თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილ იქნეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

**4.** დადგენილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს.

**5.** დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა), მისი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მეშვეობით (ქ. ახალქალაქი, მაშტოცის ქუჩა № 110).

**მოსამართლე** **სოსო სალთხუციშვილი**

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
ახალქალაქი
სექმიურელი:
21 06 1 25